ოქმი №18

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2024 წლის 24 სექტემბერს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:15 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ს. ოდიშარია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ლ. უჩანეიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზ. ნაჭყებია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბ. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე - ბ. ხურცია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - გ. წურწუმია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ი. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე - ლ. ჯინორია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,სენაკი-საქართველოსთვის" თავმჯდომარე - ი. კაჭარავა.

ასევე ესწრებოდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 9; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის 2024 წლის პირველ და მეორე კვარტლში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე";

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი განკარგულებების პროექტები - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე"; ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის

2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე";

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი - ,,მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სენაკში, რუსთაველის ქუჩა №235-ის მიმდებარედ განთავსებული მიწის ნაკვეთიდან (ტროტუარი, მიწის (უძრავი ქონების) საკადსტრო კოდი 44.01.31.603) 1,7 კვ.მ. ნაკვეთისა და მასზედ დამაგრებული უძრავი ქონების (300 მმ-იანი ბოძი) ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ"; ასევე განკარგულების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე" და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია წარმოდგენილი პროექტები დაემატოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 სექტემბერს ჩასატარებელი სხდომის დღის წესრიგს.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 9; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ 2024 წლის 18 სექტემბერს შედგენილ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში. კერძოდ, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას 2024 წლის 25 სექტემბერს განსახილველად წარედგინოს საკითხები შემდეგი დღის წესრიგის პროექტის სახით:

„დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 სექტემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

2. ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების" 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ინგა ქარდავა

3. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის 2024 წლის I და II კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების
მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

4. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის 2024 წლის პირველ და მეორე კვარტლში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე : ბ.კალანდარიშვილი

5. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთ კომისიის თვმჯდომარე: ი. ქარდავა

6. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთ კომისიის თვმჯდომარე: ი. ქარდავა

7. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სენაკში, რუსთაველის ქუჩა №235-ის მიმდებარედ განთავსებული მიწის ნაკვეთიდან (ტროტუარი, მიწის (უძრავი ქონების) საკადსტრო კოდი 44.01.31.603) 1,7 კვ.მ. ნაკვეთისა და მასზედ დამაგრებული უძრავი ქონების (300 მმ-იანი ბოძი) ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების

მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია.

8. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია“

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: საბა ოდიშარია